

PAY ანგარიშის და ბარათის მომსახურების პირობები

შინაარსი

ნაწილი I - შესავალი	3
ტერმინთა განმარტებები	3
მომსახურების ძირითადი პირობები	3
ნაწილი II - პროდუქტები	3
PAY ანგარიში და PAY ბარათი	3
ინტერნეტ ბანკი/მობაილ ბანკი	5
eMoney ელექტრონული საფულე	5
PAY ანგარიშიდან ავტომატური გადარიცხვები	5
PAY ანგარიშიდან ავტომატური გადახდები	5
უკონტაქტო წამკითხველით მომსახურების სერვისი	6
სითი პას-ი	6
სექციით დაზარალებულ ფერმერთა ბარათი	6
ნაწილი III - ზოგადი დებულებები	6
მომსახურების ტარიფები და პირობები	6
დავალების მიღების და შესრულების ვადები	7
მხარეთა პასუხისმგებლობა	7
პასუხისმგებლობის შეზღუდვა	7
გადასახადები	7
ხელშეკრულების ცვლილება	7
ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა	8
მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა	8
კომუნიკაცია	8
კონფიდენციალური ინფორმაცია	9
დასკვნითი დებულებები	11
.....	13
დანართი №1 – PAY ბარათის მომსახურების პირობები და ტარიფები	14
დანართი №2 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები	17

ნაწილი I - შესავალი

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (პირობების) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1.1. აფილირებული პირ(ები) - ბანკთან დაკავშირებული პირ(ები), რომელ(ებ)იც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება ბანკის მიერ ან/და რომლის/რომელთა საშუალებითაც ბანკი ახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურებას;
 - 1.1.2. მობილური ტელეფონი ან ტელეფონი - ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში ჩართული ტელეფონი.
 - 1.1.3. მომსახურების წერტილები - ბანკის ფილიალ(ები), სერვის-ცენტრ(ები), წარმომადგენლობ(ები) ან/და აგენტ(ები);
 - 1.1.4. Sმარტივი ბარათი - PAY ბარათის ერთ-ერთი სახე, რომლის სარგებლობას პირობები და ტარიფები რეგულირდება წინამდებარე პირობებით.
 - 1.1.5. პირობები - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი PAY ანგარიშის და ბარათის მომსახურების სტანდარტული პირობები, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: <http://libertybank.ge>;
 - 1.1.6. პროვაიდერ(ები) - კომუნალური, სატელეკომუნიკაციო და სხვა სახის მომსახურების მომწოდებელი და სხვა ნებაყოფლობითი ან/და სავალდებულო გადასახადების მიმღები პირები, რომლებიც თანამშრომლობენ ბანკთან და რომელთა ნუსხაც (რომელიც დანართის სახით ერთვის წინამდებარე პირობებს) პერიოდულად შეიძლება შეიცვალოს ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე.
 - 1.1.7. აზარტული თამაშების პროვაიდერ(ები) - ტოტალიზატორი, კაზინო ან/და სხვა აზარტული თამაშთან დაკავშირებული გადასახადის მიმღები პირები, რომლებიც თანამშრომლობენ ბანკთან და რომელთა ნუსხაც (რომელიც დანართის სახით ერთვის წინამდებარე პირობებს) პერიოდულად შეიძლება შეიცვალოს ბანკის ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე.
 - 1.1.8. სააგენტო ან დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო - „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის შექმნილი და მოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო;
 - 1.1.9. უმბრტო ანგარიში - PAY ანგარიში, რომელიც უკანასკნელი უწყვეტი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში არ ყოფილა გამოყენებული კლიენტის მიერ (მათ შორის ანგარიშზე არ განხორციელებულა სადებეტო და საკრედიტო ოპერაციები);
 - 1.1.10. ხელშეკრულება - კლიენტის მიერ ბანკისათვის წარდგენილი განაცხადის, პირობების ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხად(ებ)ის, დანართ(ებ)ის ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდგა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და რომლის საფუძველზეც და პირობების შესაბამისად ბანკი ახორციელებს კლიენტის მომსახურებას;
 - 1.1.11. PAY ანგარიში - ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვე-ანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიმზღულია ერთ ან რამდენიმე ბარათზე.
 - 1.1.12. PAY ანგარიშის ძირითადი ვალუტა - მულტისავალუტო ანგარიშის უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშის ვალუტა;
 - 1.1.13. PAY ბარათი - ბანკის მიერ ემიტირებული საერთაშორისო საბანკო ბარათი (VISA, MasterCard, UnionPay და სხვა) ან/და ლოკალური საბანკო პლასტიკური ბარათი, რომლითაც ხორციელდება PAY ანგარიშიდან თანხის გახარჯვა. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად განსაზღვროს და შეცვალოს PAY ბარათის სახეები და თითოეულის მომსახურების პირობები.
 - 1.1.14. SMS შეტყობინება ან/და SMS - კლიენტის, ბანკის ან/და სხვა მესამე პირის მიერ ინიცირებული მოკლე ტექსტური შეტყობინება.
- 1.2. წინამდებარე პირობებში ყველა სხვა ტერმინის მნიშვნელობა, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე მუხლით, განიხილეთ „ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებში“ მოცემული ტერმინთა განმარტებების შესაბამისად.

2. მომსახურების ძირითადი პირობები

- 2.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს PAY ბარათის მფლობელი პირის მომსახურების პირობებს, რომელიც განსაზღვრავს PAY ბარათით და PAY ანგარიშით სარგებლობის წესებს, მათ აღწერლობას და მხარეთა უფლება-მოვალეობებს აღნიშნული პროდუქტებით სარგებლობის პროცესში.
- 2.2. PAY ბარათის, რომელიც ჩართულია საერთაშორისო საგადახდებლო სისტემაში (VISA, MasterCard, UnionPay და სხვა), გამოყენება რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით და ბანკსა და საერთაშორისო საგადახდებლო სისტემებს (VISA

- International, MasterCard Europe, UnionPay და სხვა) შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.
- 2.3. ხელშეკრულების და წინამდებარე პირობების განახლების შესახებ კლიენტს ეცნობება ბანკის მიერ განსაზღვრული წესით, ხოლო თუ ბანკი განახორციელებს დამატებითი პროდუქტის პირობების ჩამოყალიბებას/მომსახურების ჩართვას, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა მოხდება შესაბამისი განაცხად(ებ)ის შევსების ან/და შესაბამისი დანართ(ებ)ის კლიენტისათვის მიწოდების საფუძველზე ან/და ბანკის მიერ დადგენილი სხვა წესით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კლიენტის ელექტრონული თანხმობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ ბანკი კლიენტს არ გადასცემს შესაბამის დანართს ან კლიენტი არ გაეცნობა განახლებულ პირობებს, მაგრამ კლიენტი განახორციელებს/გააგრძელებს ახალი ან განახლებული პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობას იგულისხმება, რომ იგი აღნიშნული ქმედებით ეთანხმება იმ დროისათვის ბანკში არსებულ შესაბამის მომსახურების პირობებს;
- 2.4. ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებული მომსახურება შედგება, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი პროდუქტებისაგან:
 - (ა) PAY ანგარიში;
 - (ბ) PAY ბარათი;
 - (გ) ვებ გვერდი;
 - (დ) eMoney ელექტრონული საფულე (კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში);
 - (ე) PAY ანგარიშიდან ავტომატური გადარიცხვები/Standing Order;
 - (ვ) PAY ანგარიშიდან ავტომატური გადახდები/Direct Debit;
 - (ზ) უკონტაქტო წამართხვითი მომსახურების სერვისი;
 - (თ) ინტერნეტ ბანკი/მოხალი ბანკი;
- 2.5. თუ კლიენტს არ გააჩნია პირობების 2.4. პუნქტში ჩამოთვლილთაგან, რომელიმე პროდუქტით სარგებლობის უფლება, მას არ შეეძლება პირობებში ამ პროდუქტის აღმწერი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები კლიენტისათვის ამოქმედდება, ბანკის მიერ კლიენტისათვის პროდუქტით სარგებლობის უფლების მინიჭების შემდეგ.
- 2.6. თუ კლიენტი PAY ბარათით და PAY ანგარიშით მომსახურებას ბანკისაგან იღებს, როგორც ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პაკეტში შემავალ პროდუქტს, წინამდებარე პირობები ჩაითვლება ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობების დანართად. ამასთან, ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებსა და წინამდებარე პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებს.
- 2.7. კლიენტის მიერ, ბანკის თანხმობით, პირობებში აღწერილი რომელიმე პროდუქტის (ან მისი ნაწილის) გამოყენება განიხილება, როგორც კლიენტის თანხმობა წინამდებარე პირობების შესაბამისად აღნიშნული პროდუქტით სარგებლობის პირობებზე.
- 2.8. წინამდებარე პირობების დანართებით განისაზღვრება კონკრეტული PAY ბარათისთვის ამა თუ იმ პროდუქტით სარგებლობის პირობები. იმ შემთხვევაში თუ დანართით არ არის გათვალისწინებული რომელიმე PAY ბარათის ტარიფები ან/და სარგებლობის პირობები, იგულისხმება, რომ ასეთ PAY ბარათზე ვრცელდება სტანდარტული Sმარტივი PAY ბარათისთვის დადგენილი ტარიფები და პირობები.
- 2.9. თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები (მათ შორის და არამარტო ხელშეკრულების დანართებით განსაზღვრული ტარიფები) იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს ბანკში დადგენილ ახალ წესებთან/გადაწყვეტილებებთან, შეცვლილ საბანკო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და კანონმდებლობასთან.
- 2.10. ბანკი იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს კლიენტს მომსახურების გაწევაზე, თუ კლიენტმა ბანკისათვის მისაღები ფორმით და შინაარსით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა ან ბანკს არ წარუდგინა ბანკის მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი.
- 2.11. ბანკი დაიწყებს კლიენტის მომსახურებას მას შემდეგ, რაც კლიენტი ბანკს წარუდგენს მის მიერ შევსებულ განაცხადს და ბანკის მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს განაცხადი ან/და უარი განუცხადოს კლიენტს მომსახურების გაწევაზე, მიზეზის გაცხადების გარეშე.
- 2.12. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული ან/და კლიენტის შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მიპოვებული ინფორმაცია, რაზედაც კლიენტი აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.
- 2.13. ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის მიმართვის შემთხვევაში, პირობებით განსაზღვრული მომსახურება განახორციელოს ქოლ-ცენტრის ჩართულობით, მათ შორის განახორციელოს კლიენტის დენტრფიკაცია, გასცეს ინფორმაცია, მიიღოს დავალება და ა.შ.

ნაწილი II - პროდუქტები

3. PAY ანგარიში და PAY ბარათი

- 3.1. PAY ანგარიში კლიენტს გაეხსნება განაცხადის შევსების, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შემდეგ.
- 3.2. კლიენტს უფლება აქვს:

- 3.2.1. **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე **PAY ანგარიში**;
- 3.2.2. მისცეს **ბანკს დავალებები PAY ანგარიშზე** ოპერაციების საწარმოებლად **კანონმდებლობით** და წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;
- 3.2.3. **განაცხადით** განსაზღვროს **PAY ანგარიშის** ძირითადი ვალუტა, ვალუტების პრიორიტეტი და განარჩევს სქემას;
- 3.2.4. შეცვალოს **PAY ანგარიშის** ძირითადი ვალუტა, ვალუტების პრიორიტეტი ან **განარჩევს სქემას**, რისთვისაც **ბანკს** გადაუხდის შესაბამის საკომისიოს. **PAY ანგარიშის** ძირითადი ვალუტა შესაძლოა განისაზღვროს შემდეგი ვალუტებით: ლარი, აშშ დოლარი და ევრო, თუ რაიმე სხვა არ არის შეთანხმებული **ბანკსა** და **კლიენტს** შორის დადებული **ხელშეკრულებით**;
- 3.2.5. წაუყენოს **ბანკს** პრეტენზიები ამონაწერის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში **კლიენტის** მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, ამონაწერი არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად **კლიენტის** მიერ;
- 3.2.6. შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება ბანკისთვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;
- 3.3. **კლიენტი** ვალდებულია:
 - 3.3.1. **PAY ანგარიშზე** ამონაწერის მიღებიდან 1 (ერთი) **საბანკო დღის** ვადაში შეატყობინოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხა;
 - 3.3.2. პასუხი აგოს **განაცხადის** შეცვლის სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილება დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს **ბანკს**;
 - 3.3.3. **ბანკში** მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშის მომსახურებისათვის **ბანკში** დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;
 - 3.3.4. **კლიენტი** ვალდებულია არ გამოიყენოს წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი **PAY ანგარიშის** გადახარჯვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე.
 - 3.3.5. იქონიოს **ანგარიშზე** გადახდის ოპერაციის შესრულებისა და მომსახურების საკომისიოსათვის საკმარისი დადებითი ნაშთი.
- 3.4. **ბანკს** უფლება აქვს:
 - 3.4.1. დროებით გამოიყენოს **კლიენტის PAY ანგარიშზე** არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით;
 - 3.4.2. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების დარღვევის შემთხვევაში დაბლოკოს **PAY ანგარიში**;
 - 3.4.3. გადახდევინოს **კლიენტს** ჯარიმა შეცდომით ჩარიცხული თანხის ან მისი ნაწილის გამოყენებისათვის;
 - 3.4.4. თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში, გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს ოპერაცია, ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;
- 3.5. **ბანკი** ვალდებულია:
 - 3.5.1. დროულად დააკრედიტოს **PAY ანგარიშზე** ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს **PAY ანგარიშიდან** არაუგვიანეს 2 (ორი) **საბანკო დღისა**;
 - 3.5.2. ჩამოწეროს **კლიენტის დავალებით**, ხოლო **კანონმდებლობით** და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში **დავალების** გარეშე, შესაბამისი თანხები **კლიენტის PAY ანგარიშიდან** მათი კრედიტორების ანგარიშებზე გადაასარიცხავდ;
 - 3.5.3. მიიღოს **კლიენტისაგან** და მისცეს მას ან გასცეს მისი **დავალებით** ნაღდი ფული;
 - 3.5.4. **კლიენტს** ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს მოთხოვნისთანავე გადასცეს **PAY ანგარიშის** ამონაწერი **ბანკში** მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად.
- 3.6. **PAY ბარათის** მიღება
 - 3.6.1. **PAY ბარათის** მისაღებად **კლიენტმა ბანკს** უნდა წარუდგინოს სათანადოდ შევსებული და ხელმოწერილი **განაცხადი**.
 - 3.6.2. **ბანკი კლიენტის** მიერ შევსებული **განაცხადის** საფუძველზე და მის შესაბამისად ამზადებს **PAY ბარათს** და გადასცემს **კლიენტს** სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ, ან/და **განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე (ან/და **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ სხვა ვერიფიცირებულ ნომერზე) მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ელექტრონული ფორმით გაგზავნილ PIN-კოდთან (ან/და სხვა **წვდომის კოდებთან**) ერთად). **PAY ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას. **PAY ბარათის** გადაცემა დასტურდება **მხარეთა** შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.
 - 3.6.3. თუ **კლიენტი PAY ბარათის** დამზადებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს **ბანკს PAY ბარათის** მისაღებად ან/და არ გადაიხდის **PAY ბარათის** დამზადების საფასურს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება გააუქმოს **PAY ბარათი**. ასეთ შემთხვევაში **კლიენტს PAY ბარათის** დამზადების საკომისიო (ასეთის არსებობისას) არ უბრუნდება, ხოლო **მხარტები სახელი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უქმდება.
 - 3.6.4. **PAY ბარათის** დამზადების შემთხვევაში, აღნიშნული ბარათი არის უნიკალური და დაუშვებელია **კლიენტს** დაუშვადდეს ერთი და იგივე სახელის/ნომრის/მობილური ტელეფონის ნომრის მქონე ორი ან მეტი ბარათი.
- 3.7. **კლიენტის** იდენტიფიკაცია

- 3.7.1. **PAY ბარათის** მიღებისას **კლიენტს** სავალდებულო წესით მოეთხოვება საკუთარი თავის იდენტიფიკაცია, მიუხედავად **PAY ბარათის** შეკვეთის ან/და მიღების არხისა.
- 3.7.2. **კლიენტმა** დამატებითი იდენტიფიკაცია უნდა გაიაროს **PAY ბარათის განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მიღებულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში აღნიშნული კოდის მეშვეობით.
- 3.7.3. **PAY ბარათის** მიღებისას მოკლე ტექსტური შეტყობინებით **კლიენტს** დამატებითი იდენტიფიკაცია არ მოითხოვება იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად წარმოადგენს პენსიონერს.
- 3.7.4. **PAY ბარათის** მიღების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს ინტერნეტ ბანკით/მობაილ ბანკით, ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
- 3.8. ნებადართული ოპერაციები და **PAY ბარათით** სარგებლობა.
 - 3.8.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **PAY ბარათით** განახორციელოს შემდეგი ოპერაციები:
 - 3.8.1.1. **PAY ბარათზე** თანხის შეტანა როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით, **ბანკის** მიერ განსაზღვრული საგადახდო ან/და სხვა დისტანციური არხების საშუალებით;
 - 3.8.1.2. თანხის განაღდება ბანკომატის/პოს ტერმინალის ან/და **ბანკის მომსახურების წერტილების** მეშვეობით;
 - 3.8.1.3. საქონლის ან/და მომსახურების შეძენა სავაჭრო მომსახურების ობიექტებში, ინტერნეტით და სხვა დისტანციური არხების მეშვეობით;
 - 3.8.1.4. **ბანკის მომსახურების წერტილებში, ბანკომატებში, ვებ-გვერდის**, სწრაფი გადახდის ტერმინალების და **ბანკის** მიერ აწყობილი სხვა არხების და ინსტრუმენტების საშუალებით **PAY ანგარიშზე** თანხის ბალანსის შემოწმება;
 - 3.8.1.5. **პროვადერებისთვის** გადახდების წარმოება;
 - 3.8.1.6. **MasterCard MoneySend** ან **VISA Direct** საბარათო **გადარიცხვის** მეშვეობით თანხის გადარიცხვა და ჩარიცხვა სხვა **PAY ბარათზე** ან/და **ბანკის** მიერ ემიტირებულ სხვა პლასტიკურ ბარათზე, მათ შორის რაც შეუძლებელია გარეშე მოიგავს **MasterCard MoneySend** ან **VISA Direct** საბარათო **გადარიცხვის** შესრულებას **ბანკის** ელექტრონული არხების საშუალებით; და
 - 3.8.1.7. **კანონმდებლობით** გათვალისწინებული სხვა ნებადართული ოპერაციები.
 - 3.8.2. **პროვადერების** ჩამონათვალი, რომელთა მომსახურების გადახდაც შესაძლებელია **PAY ბარათის** საშუალებით და ასევე სავაჭრო-მომსახურების ობიექტების წუსხა, სადაც შესაძლებელია **PAY ბარათის** გამოყენება, **კლიენტს** ეცნობება **ბანკის** საინფორმაციო მასალების და არხების, მათ შორის ვებ გვერდის საშუალებით.
 - 3.8.3. **ბანკი** უფლებამოსილია **PAY ბარათის მფლობელთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე შეიტანოს ცვლილება **პროვადერების** ჩამონათვალში, რაც **ბარათის მფლობელს** ეცნობება **ბანკის** საინფორმაციო მასალების და არხების, მათ შორის **ბანკის** ვებ გვერდის საშუალებით.
 - 3.8.4. **PAY ბარათზე** არსებული თანხის გამოყენება **ბარათის მფლობელს** შეუძლია როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილ, თანხის სრულ ამოწურვამდე. **კლიენტის** მიერ **PAY ბარათით** ტრანზაქციის ინიცირების შემდეგ, **ბანკი კლიენტის** შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე უფლებამოსილია დაბლოკოს **კლიენტის PAY ანგარიში** ტრანზაქცი(ებ)ის თანხ(ებ)ის ოდენობით არაუმეტეს ერთი თვის ვადით.
 - 3.8.5. **ბანკის** მიერ **PAY ანგარიშზე** ტრანზაქცი(ებ)ის თანხ(ებ)ის ოდენობით ბლოკის მოხსნა მოხდება **ბანკის** მიერ **PAY ანგარიშის** დაბლოკვიდან ერთ თვეში ან **პროვადერ(ებ)ის** ან/და **კლიენტის** მიერ ტრანზაქცი(ებ)ის ინიცირების შედეგად თანხ(ებ)ის მიმღები ნებისმიერი სხვა პირის მიერ **ბანკისათვის** შესაბამისი ტრანზაქცი(ებ)ის თანხ(ებ)ის ოდენობით ბლოკის მოხსნაზე შეტყობინების შემდგომ.
 - 3.8.6. **ბანკი** უფლებამოსილია დაბლოკოს **PAY ბარათი**, ასევე **შესაბამისი Pay ანგარიში**: ა) თუ **კლიენტი** ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ სარგებლობს **PAY ბარათით**; ან/და ბ) **ბანკი კლიენტს** 1 (ერთი) თვით ადრე შეატყობინებს **ბარათის** დაბლოკვის თაობაზე და შესთავაზებს ალტერნატიულ ბარათს იმავე ან გაუმჯობესებულ პირობებით.
 - 3.9. **PAY ბარათის** სხვა პირ(ებ)ისთვის გადაცემა.
 - 3.9.1. **კლიენტის** მიერ სხვა პირისთვის **PAY ბარათის** გადაცემის შემთხვევაში, იგი ვალდებულია სრულად გააცნოს **PAY ბარათის** ახალ მფლობელს **PAY ბარათით** სარგებლობის წესები და წინამდებარე პირობები.
 - 3.9.2. **კლიენტი** პასუხისმგებელია **მესამე პირისთვის PAY ბარათის** გადაცემის შემთხვევაში **PAY ბარათით** განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციასა და **ბანკის** მიმართ წინამდებარე **პირობების** შესაბამისად წარმოშობილ ყოველგვარ უფლებებზე და ვალდებულებებზე.
 - 3.10. **PAY ანგარიშის** გამოყენების შეზღუდვები და ლიმიტები.
 - 3.10.1. **PAY ანგარიშზე** თანხის შეტანა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.
 - 3.10.2. **PAY ანგარიშზე** თანხის ნაღდი სახით შეტანა შესაძლებელია შემდეგი არხების გამოყენებით:
 - 3.10.2.1. **ბანკის** ფილიალები და სერვის ცენტრები;
 - 3.10.2.2. სწრაფი მომსახურების ტერმინალები;
 - 3.10.2.3. **ბანკის** მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული სხვა საშუალებები და არხები.
 - 3.10.3. **PAY ანგარიშის** შევსება შესაძლებელია შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

- 3.10.3.1. ვებ-გვერდი;
- 3.10.3.2. ბანკის ბანკომატები;
- 3.10.3.3. ბანკის ან სხვა ბანკების ავტომატური გადარიცხვების სერვისი ან/და სხვა ბანკების ან მსასმე პირების მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული არხების საშუალებები;
- 3.10.3.4. MasterCard MoneySend ან VISA Direct საბარათე გადარიცხვები ბანკის მიერ ემიტირებული ნებისმიერი საბანკო პლასტიკური ბარათიდან;
- 3.10.3.5. ბანკის მიერ განვითარებული ელექტრონული ან/და სხვა სახის არხები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია PAY ანგარიშზე თანხის შევსება.
- 3.10.4. სხვა ბანკების ავტომატური გადარიცხვების სერვისის ან/და სხვა ბანკების ან მსასმე პირების მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის განვითარებული არხების საშუალებებით PAY ანგარიშის შევსების საკომისიოს განსაზღვრავს შესაბამისი სერვისის განმარტებული/არხის მფლობელი. თავის მხრივ კლიენტს შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს ბანკს ამ პუნქტით განსაზღვრული საკომისიოს თაობაზე ინფორმაციის მისაღებად.
- 3.10.5. PAY ბარათით ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მასზე არსებული თანხის ლიმიტის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია მომსახურების ტარიფებით და დანართის სახით ერთვას წინამდებარე პირობებს.
- 3.11. PAY ბარათის შევლა, დაკარგვა, გაუქმება.
 - 3.11.1. კლიენტი ვალდებულია საკუთარი სახსრების დაცვის მიზნით დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს PAY ბარათის დაკარგვის შესახებ. კლიენტისგან PAY ბარათის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) საათის განმავლობაში ბანკი ვალდებულია ადგილობრივად დაბლოკოს საქართველოს ტერიტორიაზე მისი გამოყენება. ბანკი პასუხს არ აცემს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს კლიენტს PAY ბარათის არასანქცირებული გამოყენებით.
 - 3.11.2. დაზიანებული ან/და დაკარგული PAY ბარათის აღდგენა განხორციელდება კლიენტის მიერ ბანკის მომსახურების წერტილებში შესაბამისი განაცხადის შეტანის შემდეგ მომსახურების ტარიფების და პირობების შესაბამისად.
 - 3.11.3. PAY ბარათის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს PAY ბარათი და კლიენტს დაუბრუნოს PAY ანგარიშზე რიცხული ნაშთი PAY ბარათის ვადის გასვლიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში, ხოლო PAY ბარათის გაუქმებიდან PAY ანგარიშზე 1 (ერთი) წლის განმავლობაში დადებითი ნაშთის და ბრუნვის არარსებობის შემთხვევაში დაუბრუნოს PAY ანგარიშზე კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე.
 - 3.11.4. PAY ბარათის მოქმედების ვადის გასვლისას, კლიენტის მიერ ბანკის მიმართ მომსახურების საკომისიოს დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კლიენტისთვის ახალი PAY ბარათის დამზადებაზე.
 - 3.11.5. ბანკს ნებისმიერ დროს უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ უარი განუცხადოს კლიენტს PAY ბარათის აღდგენაზე ან/და გაცემაზე.

4. ინტერნეტ ბანკი/მოზაილ ბანკი

- 4.1. ინტერნეტ ბანკი/მოზაილ ბანკით მომსახურებით სარგებლობისთვის კლიენტს ბანკში არსებული პროცედურების დაცვით გადაეცემა ინტერნეტ ბანკით/მოზაილ ბანკით სარგებლობისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები ან/და ელექტრონული საშუალებები ან/და მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია. კლიენტი ვალდებულია ასეთი მოწყობილობების თუ საშუალებების გამართულობა შეამოწოს მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში.
- 4.2. ინტერნეტ ბანკი/მოზაილ ბანკით მომსახურების დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია „ლიბერთი ანგარიშის მომსახურების პირობებში“, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.libertybank.ge>.

5. eMoney ელექტრონული საფულე

- 5.1. eMoney ელექტრონული საფულით მომსახურება წარმოადგენს ბანკისა და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და eMoney-ს კლიენტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეძლევა საშუალება იქონიოს eMoney ელექტრონული საფულე კონკრეტული მომენტისათვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი eMoney ელექტრონული საფულის ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისათვის ისეთ ვებ გვერდებზე, სადაც eMoney-თ ავტორიზაცია დაშვებულია.
- 5.2. eMoney-ის ელექტრონული საფულის მის საბანკო ანგარიშზე ორგანული გადახმისათვის (რაც კლიენტს გაუმარტივებს შესაბამისი სერვისების მიღებას) კლიენტი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია eMoney ვებ-გვერდზე და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის პროცესი.
- 5.3. eMoney ელექტრონული საფულით მომსახურების პირობები, ტარიფები და მხარეთა უფლება-მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი eMoney ელექტრონული საფულით მომსახურების პირობებში, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე - www.emoney.ge (<http://bit.ly/12vqRlk>) და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე პირობების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე

პირობებზე თანხმობითა და eMoney ელექტრონული საფულის გამოყენების ფაქტით კლიენტი ადასტურებს მის თანხმობას ზემოაღნიშნულ eMoney ელექტრონული საფულით მომსახურების პირობებზე. მიუხედავად ამისა, eMoney ვებ გვერდზე ან/და eMoney მობილურ აპლიკაციაში რეგისტრირებისას eMoney შესაძლოა კლიენტს დამატებით მოსთხოვოს ელექტრონული თანხმობა eMoney ელექტრონული საფულით მომსახურების პირობებზე.

5.4. ბანკი იტოვებს უფლებას, რომ ცალმხრივად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად შეაჩეროს eMoney ელექტრონული საფულით (ან eMoney ელექტრონული საფულის ნებისმიერი ცალკეული ფუნქცია ან ფუნქციები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ბალანსის შევსებას, თანხების მიღებას ან/და თანხების განაღდებას) მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია(ებ) ბანკის ან/და eMoney-ს შეხედულებით ჩაითვლება, რომ (i) განხორციელდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, ან/და (ii) არის საეჭვო და დაკავშირებულია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციათ, ტერორიზმის დაფინანსებასთან, თაღლითობასა ან/და სხვა უკანონო საქმიანობასთან. ბანკი ან/და eMoney შეეცდება შეატყობინოს მერჩანტს ასეთი მომსახურების შეჩერების ან შეზღუდვის შესახებ, თუ მათ ასეთი შეტყობინების მიწოდება აკრძალული არ აქვთ კანონმდებლობით, სასამართლო გადაწყვეტილებით ან სხვა სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტით.

6. PAY ანგარიშიდან ავტომატური გადარიცხვები

- 6.1. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში ბანკს შესაძლებლობა ეძლევა, PAY ანგარიშიდან უქექიპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს წინასწარ განსაზღვრული თანხები ან ანგარიშზე არსებული თანხების წინასწარ შეთანხმებული ნაწილი წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშ(ებ)ზე წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში.
- 6.2. ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების ჩართვა კლიენტისათვის მოხდება მის მიერ განაცხადის შევსების შემდეგ, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად.
- 6.3. კლიენტის ამგვარი ავტომატური გადარიცხვებით მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე, რომლებიც მითითებულია შევსებული ავტომატური გადარიცხვების განაცხადის ფორმაში;
- 6.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადარიცხვების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქალაქდება დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქალაქდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.
- 6.5. კლიენტი უფლებამოსილია:
 - 6.5.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;
 - 6.5.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.
- 6.6. ბანკი უფლებამოსილია:
 - 6.6.1. არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;
 - 6.6.2. არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას;
 - 6.6.3. კლიენტის ანგარიშზე თანხის არსებობისას/ხელმისაწვდომობისას განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ კალენდარულ თარიღში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული თარიღი ემთხვევა კანონმდებლობით დადგენილ არასამუშაო დღეს - ასეთ შემთხვევაში, ავტომატური გადარიცხვის ოპერაცია შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ავტომატური გადარიცხვა გულისხმობს თანხის გადარიცხვას სხვა საფინანსო დაწესებულებაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღებ საფინანსო დაწესებულებას გადარიცხული თანხის მიმღების/ზენეფიცირების ანგარიშზე ასახვისათვის.
 - 6.6.4. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები.
- 6.7. კლიენტი ვალდებულია:
 - 6.7.1. PAY ანგარიშზე ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადარიცხვისათვის საკმარისი ნაშთი;
 - 6.7.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისათვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

7. PAY ანგარიშიდან ავტომატური გადახდები

- 7.1. ავტომატური გადახდებით მომსახურება გულისხმობს კლიენტის PAY ანგარიშიდან მომსახურების საფასურის გადარიცხვას კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადახდების შესახებ კლიენტის განაცხადში მითითებული ინფორმაციის და კლიენტის დავალიანების შემოწმების საფუძველზე.
- 7.2. ავტომატური გადახდების მომსახურების ჩართვა კლიენტისათვის მოხდება მის მიერ განაცხადის შევსების შემდეგ, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად.

- 7.3. კლიენტის ამგვარი ავტომატური გადახდებით მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე, რომლებიც მითითებულია შევსებული ავტომატური გადაირიცხების განაცხადის ფორმაში;
- 7.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადახდების შესასრულებლად ბანკი მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქალაქობა და მხარის მიერ განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქალაქის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.
- 7.5. კლიენტი უფლებამოსილია:
 - 7.5.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;
 - 7.5.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.
- 7.6. ბანკი უფლებამოსილია:
 - 7.6.1. არ განხორციელოს ავტომატური გადახდა კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;
 - 7.6.2. კლიენტის ანგარიშზე თანხის არსებობისას/ხელმისაწვდომობისას განხორციელოს ავტომატური გადახდა კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ კალენდარულ თარიღში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული თარიღი ემთხვევა კანონმდებლობით დადგენილ არასამუშაო დღეს - ასეთ შემთხვევაში, ავტომატური გადახდის ოპერაცია შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ავტომატური გადახდა გულისხმობს თანხის გადარიცხვას სხვა საფინანსო დაწესებულებაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღებ საფინანსო დაწესებულებას გადარიცხული თანხის მიმღებ/საფინანსო დაწესებულების ანგარიშზე ასახვისათვის.
 - 7.6.3. არ განხორციელოს ავტომატური გადახდა კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას;
 - 7.6.4. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები.
- 7.7. კლიენტი ვალდებულია:
 - 7.7.1. PAY ანგარიშზე ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადახდისათვის საკმარისი ნაშთი;
 - 7.7.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისათვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

8. უკონტაქტო წამკითხველით მომსახურების სერვისი

- 8.1. PAY ბარათის ან ID ბარათის უფლებამოსილი მფლობელი უკონტაქტო წამკითხველით სარგებლობის მიზნით ვალდებულია შეასრულოს ბანკმატის მითითებები, მათ შორის და არამარტო: (ა) კლიენტის იდენტიფიცირების მიზნით ბარათი განათავსოს უკონტაქტო წამკითხველზე; (ბ) ბარათის იდენტიფიცირების შემდეგ, შეიყვანოს მის სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ნომერი; (გ) მის მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მიღებული კოდი მიუთითოს ბანკმატის შესაბამის ველში და სხვა.
- 8.2. კლიენტის იდენტიფიკაციის პროცედურის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ბარათის მფლობელი უფლებამოსილია ბანკმატის ეკრანზე გამოტანილი ანგარიშ(ებ)იდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აირჩიოს ერთ-ერთი და განხორციელოს თანხის განაღდება ოპერაცია.
- 8.3. ბანკმატისგან თანხის განაღდება ოპერაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთი ბანკისათვის განაღდება საკომისიოს გადახდის შემთხვევაში შეადგენს მინიმუმ 5 (ხუთი) ლარს, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში - 5 (ხუთი) ლარის ეკვივალენტს შესაბამის ვალუტაში (ბანკის კომერციული კურსით ანგარიშისას).

ნაწილი III - ზოგადი დებულებები

11. მომსახურების ტარიფები და პირობები

- 11.1. კლიენტის და ბანკის ფინანსური ურთიერთობა სრულად რეგულირდება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.
- 11.2. ნებისმიერი პროდუქტით ან/და მომსახურებით სარგებლობისას კლიენტი ბანკს უხდის მომსახურების საკომისიოს, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე პირობებით;
- 11.3. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი სარგებლობს ისეთი პროდუქტით ან/და მომსახურებით, რომლის საკომისიო არ არის დადგენილი წინამდებარე პირობებით, ასეთი პროდუქტის/მომსახურების საკომისიო განისაზღვრება ბანკის მიერ ასეთი პროდუქტის/მომსახურების საკომისიოს განისაზღვრება ბანკის მიერ ასეთი დადგენილი სტანდარტული ტარიფების შესაბამისად, თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
- 11.4. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი ტარიფები. ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტს აღნიშნული შესახებ ეცნობება წინასწარ პირადად ან ბანკის საინფორმაციო მასალების საშუალებით.
- 11.5. კლიენტის მიერ რომელიმე მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობისას) გადაუხდელობა ბანკს ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს კლიენტს პირობებით განსაზღვრული პროდუქტებით სარგებლობის უფლება.
- 11.6. თუ პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მომსახურების ტარიფების გადახდა განხორციელდება შედეგი პრინციპით:

8.4. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეზღუდოს უკონტაქტო წამკითხველით მომსახურების სერვისის საკუთარი შეხედულებისამებრ.

9. სითი პას-ი

- 9.1. სითი პას-ი (City Pass) წარმოადგენს პროგრამულ სისტემას, რომლითაც აღჭურვილი PAY ბარათით შესაძლებელია ბანკის მიერ განსაზღვრულ მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდა.
- 9.2. სითი პას-ი (City Pass) დაკავშირებულია PAY ანგარიშთან, შესაბამისად მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას გადასახდელი საფასურის ჩამოჭრის დაგეგმვა, კლიენტის მიერ ბანკს ეგზავნება შესაბამის ტერმინალზე PAY ბარათის უკონტაქტო წამკითხველზე შეხების შედეგად.
- 9.3. სითი პას-ის (City Pass) ანგარიშზე დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში, სითი პას PAY ბარათი დაბლოკავს დავალიანების წარმოშობის შემდგომ კალენდარულ დღეს. დაბლოკილი სითი პას PAY ბარათზე ბლოკის მოხსნა განხორციელდება დავალიანების დასაფარად საკმარისი თანხის PAY ბარათის ანგარიშზე განთავსებიდან მთლიანად კალენდარულ დღეს.
- 9.4. სითი პას-ით მომსახურების პირობები და ტარიფები განსაზღვრულია წინამდებარე პირობების #1 დანართით.

10. სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათი

- 10.1. სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათი (Hail Emergency Farmer Card) წარმოადგენს გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები, სტიქიის (სეტყვის) შედეგად დაზარალებული, 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთ(ებ)ის მფლობელი ფიზიკური პირ(ებ)ის (შემდგომში - ბენეფიციარ(ებ)ი) სუბსიდირების პროექტის (შემდგომში - სუბსიდირების პროექტი) ფარგლებში გაცემულ ბარათს, რომელზეც სუბსიდირების პროექტში მონაწილეობის პირობის მიერ ხორციელდება სუბსიდის თანხების ბენეფიციარისათვის ჩარიცხვა.
- 10.2. სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათზე დასაშვებია მხოლოდ სუბსიდის თანხის ჩარიცხვისა და სუბსიდირების პროექტის ფარგლებში განსაზღვრულ სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებში განთავსებულ ბანკის პოს-ტერმინალზე ბენეფიციარ(ებ)ის მიერ გადახდის ოპერაციები შესრულება. ყველა სხვა ოპერაცია სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათზე შეზღუდულია.
- 10.3. სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათით მომსახურების პირობები და ტარიფები განსაზღვრულია წინამდებარე პირობების #1 დანართით. ამასთან, სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათზე ვრცელდება წინამდებარე პირობებით განსაზღვრული, PAY ანგარიშისათვის დადგენილი ყველა პირობა, რომელიც წინამდებარე პირობებში არ მოდის პირობების მე-10 მუხლთან და დანართი N1-ით განსაზღვრულ სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათის პირობებთან და ტარიფებთან.
- 10.4. სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათი ძალაშია მხოლოდ სუბსიდირების პროექტის მოქმედების ვადით. ბარათის მფლობელისთვის (ბენეფიციარისთვის) ცნობილია და ეთანხმება პირობას, თუ სუბსიდირების პროექტის ვადის დასრულების თარიღისათვის სრულად არ ათავისებს სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათზე რიცხულ თანხას, ბანკი უფლებამოსილია ბარათის მფლობელის დამატებითი თანხმობის გარეშე, უაქცეპტოდ ჩამოჭროს ანგარიშიდან და უკან დაუბრუნოს აუთენტიკელი ფულადი სახსრები სუბსიდირების პროექტში მონაწილე, სუბსიდის ჩამორიცხავ პირ(ებ)ს, ასევე, დახსროს სეტყვით დაზარალებულ ფერმერთა ბარათის მომსახურე ანგარიში.

- 11.6.1. მომსახურების საკომისიოს გადახდა ხორციელდება წინასწარ ყოველთვიურად ან/და წინასწარ ყოველწლიურად. ასევე, კონკრეტული სერვისის/მომსახურებისათვის დადგენილი საკომისიოს გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს გადახდის ოპერაციის შესრულებისას.
- 11.6.2. წინასწარ ყოველთვიურად გადახდის მეთოდის არჩევის შემთხვევაში საკომისიოს გადახდა ავტომატურად განხორციელდება ყოველი მომდევნო თვის პირველ რიცხვში;
- 11.6.3. წინასწარ ყოველწლიურად გადახდის მეთოდის არჩევის შემთხვევაში პირველი გადახდა ხდება PAY ბარათის შექმნის დღეს და მოქმედებს ერთი წლის ვადით. ერთი წლის შემდეგ საკომისიოს გადახდის სქემა ავტომატურად შეიცვლება ყოველთვიურად.
- 11.6.4. კლიენტს მომსახურების ტარიფ(ებ)ის ყოველთვიური გადახდის სქემით სარგებლობის შემთხვევაში უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს გადახდის სქემა და ისარგებლოს მომსახურების ტარიფ(ებ)ის ყოველწლიური გადახდის სქემით.
- 11.7. კლიენტის მხრიდან მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მის მიერ შეწყვეტის მომენტისთვის გადახდილი თანხა კლიენტს უკან არ დაუბრუნდება.
- 11.8. თუ მომსახურების ტარიფ(ებ)ის (საკომისიო) გადახდის თარიღი ემთხვევა კალენდარული თვის ბოლო დღეს, ბანკი მომსახურების ტარიფ(ებ)ის ჩამოჭრას განხორციელებს კალენდარული თვის ბოლო საბანკო დღეს.
- 11.9. ყოველთვიური საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს საკომისიოს აკუმულირება დავალიანების სახით,

რომლის დაფარვაც მოხდება კლიენტის PAY ანგარიშიდან ან კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი და ყველა ანგარიშიდან უაქციპტო წესით თანხის ჩამოწერის გზით მასზე ხელმისაწვდომი ნაშთის გარეწისთანავე.

11.10. მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ კლიენტს მიადინარე თვითა და ალუდგება საკომისიოს დარიცხვა მის მიერ უკვე არჩეული გადახდის მეთოდის შესაბამისად.

11.11. მომსახურების საკომისიო(ებ)ის გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დავალიანების აკუმულირება.

11.12. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს კლიენტის მიერ ბანკის მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის თანმიმდევრობა.

12. დავალების მიღების და შესრულების ვადები

12.1. ბანკი გადახდის ოპერაციას ახორციელებს გადახდელის ან მიმღების მიერ ბანკისათვის წარდგენილი დავალების საფუძველზე. ამასთან, დავალება შეიძლება წარდგენილი იქნას მატერიალური ან/და არამატერიალური-ელექტრონული ფორმით.

12.2. დავალებას ბანკი მიიღებს და შესრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადახდელის ან მიმღების მიერ სრულად და ჯეროვნად შევსებული იქნება ბანკის მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები.

12.3. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკის მიერ დავალების მიღება ავტომატურად არ გულისხმობს გადახდის ოპერაციის შესრულებას და გადახდის ოპერაცია დაკავშირებულია შესაბამის ვადებთან, რომელიც დამოკიდებულია თავად დავალების შინაარსზე.

12.4. ბანკის მიერ დავალებ(ებ)ის მიღებისთვის დადგენილი დროის მონაკვეთი, აგრეთვე მიღებული დავალებ(ებ)ის განხორციელებისთვის საჭირო მაქსიმალური ვადები მოცემულია ხელშეკრულების #2 დანართში.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა

13.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

13.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:

13.2.1. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის ასეთი საფრთხის არსებობის) შემთხვევაში დაბლოკოს კლიენტის ანგარიში;

13.3. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქციპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდლები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცივებლად;

13.4. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების მიწოდებაზე ასევე უაქციპტოდ ჩამოწეროს კლიენტს ანგარიშიდან;

13.5. ბანკის წინაშე არსებული კლიენტის ვალდებულებები გაქვითოს კლიენტის წინაშე არსებულ ბანკის ნებისმიერ ვალდებულებებში.

14. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

14.1. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი მოქმედებს კლიენტის დავალებით, - მომსახურების გაწევისას კლიენტი აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, კლიენტის ან მესამე პირების მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ზარათის მფლობელებს) წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განცხადებისგან ასევე კლიენტი აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ისეთი ზიანისგან, რომელიც წარმოივს პირობებით განსაზღვრული გამოყენების შედეგად ან ისეთი ზიანისგან, რომელიც წარმოიქმნა პირობებით განსაზღვრული მომსახურების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციის შედეგად. კლიენტი აცხადებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება ბანკის მიერ მიღებული დავალებების და ავტორიზაციის შესაბამისად ამ პირობების ან/და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. კლიენტი აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და

კლიენტისთვის მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება პირობებით განსაზღვრული მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა.

14.2. კლიენტი აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავსი დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი/მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც წვდომის კოდების გამოყენებით განხორციელდა/განხორციელდება. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამოირიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.

14.3. პირობების მიუხედავად, ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოივს პირობებით განსაზღვრულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამოირიცხულია ბანკის პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანახოვების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია პირობებით განსაზღვრულ მომსახურებებთან.

14.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება ბანკის ადამსრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა, აგენტებსა და აფილირებულ პირებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია ბანკის ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ პირობების დარღვევას).

14.5. დისტანციური საბანკო მომსახურების გამოყენებისას კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას დავალებაზე ან აღნიშნული დავალების შეცვლისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. კლიენტმა არ უნდა დატოვოს დისტანციური საბანკო მომსახურებასთან დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ.

14.6. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე, თუ: (ა) ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი დავალება; (ბ) კლიენტმა ბანკს მიაწოდა არასწორი ან/და არასრული ინფორმაცია; (გ) კლიენტსა და ბანკს შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე პირი.

14.7. წინამდებარე მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ მხარეები ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს.

15. გადასახადები

15.1. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე ამ პირობების (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ინტერნეტ-ბანკით მომსახურების პირობებს) შესაბამისად. კლიენტი აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადახდის ნებისმიერი გადაუხდელო გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოივს ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერ ან ყველა საბანკო მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, "საგადასახადო ვალდებულება"); ამასთანავე, ბანკი თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია კლიენტისგან მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, ბანკი ან/და ნებისმიერი შვილობილი / აფილირებული კომპანია ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოწერას კლიენტის ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი კლიენტს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ კანონის შესაბამისად ბანკს ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა კლიენტის საგადასახადო ვალდებულების გამო, კლიენტი დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს ბანკს ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია ბანკის რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

15.2. ბანკი ვალდებულია შესაბამისობაში იყოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად კლიენტმა უნდა დააუწყაფოლოს სხვა შესაბამისი ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები (მოიცავს იმ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის მოქალაქეც არის კლიენტი ან რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს).

15.3. კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს ანგარიში ან/და პირობებში აღწერილი მომსახურება სამეწარმეო საქმიანობისთვის ან/და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნებისმიერი საქმიანობისთვის. ამასთან, კლიენტის მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების და გადასახადის გამძღველ პირად რეგისტრაციის შემთხვევაში იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს.

16. ხელშეკრულების ცვლილება

16.1. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისათვის** წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (**კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები, ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

16.1.1. **ხელშეკრულებით** ან **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების ტარიფების ცვლილება ხორციელდება **კლიენტის** სასარგებლოდ;

16.1.2. **ხელშეკრულებაში** ან **პირობებში** ხორციელდება ახალი საგადახდო მომსახურების, საბანკო პროდუქტის ან **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხის დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლავს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებაში** ან/და **პირობებში** არსებულ მომსახურებებს.

16.2. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება **ბანკის** მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულს შესახებ **ბანკს**, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **კლიენტი** ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

16.3. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ხელშეკრულების** დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ამასთან თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული **კლიენტის** მხრიდან განცხადებაში, **ბანკი** უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს **ხელშეკრულების** მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.

16.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზეზით **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია სრულად დაუაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე **პირობებით** დადგინდოს წესით. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის **კლიენტს** არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარო საკომისიო ან/და დამატებითი პირგასამტეხლო, **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტისათვის.

16.5. **ხელშეკრულებაში** ცვლილებების შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოხდება შეცვლილი **პირობების** ტექსტის **ბანკის** ვებგვერდზე - <http://libertybank.ge> განთავსების გზით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ინფორმირება დაგეგმილი ან არსებული ცვლილების შესახებ მოახდინოს წინამდებარე **პირობების** 22-ე მუხლით განსაზღვრული კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე ფორმით. **კლიენტი** თავად არის ვალდებული პერიოდულად შეამოწმოს **ბანკის** ვებ-გვერდი და გაეცნოს **პირობებში** ცვლილებებს

17. ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადა

17.1. მას შემდეგ, რაც **კლიენტს** **პირობების** შესაბამისად გაეხსენება **PAY ანგარიში** და გადაეცემა **PAY ბარათი**, ძალაში შედის **პირობების I** და III ნაწილები. **პირობების II** ნაწილით განსაზღვრული **პროდუქტებით** სარგებლობის პირობები ძალაში შედის იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაზღვრულია **კლიენტის** მიერ შევსებული **განაცხადით** ან/და **ბანკი** თავისი შეხედულებით ანიჭებს **კლიენტს** რომელიმე პროდუქტით სარგებლობის უფლებას.

17.2. **პირობები** ძალაში **პროდუქტის** მოქმედების ვადით და მოქმედებს მის შეწყვეტამდე ამ **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად.

17.3. **პროდუქტის** მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი მოქმედების განახლების შემთხვევაში **პროდუქტზე** გავრცელდება წინამდებარე **პირობები**, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.

17.4. თუ **ბანკი** ან/და **კლიენტი** გადაწყვეტენ შეწყვიტონ რომელიმე **პროდუქტით** მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ **პროდუქტთან** დაკავშირებით.

17.5. თუ წინამდებარე **პირობებით**, მათ შორის ანგარიშის დახურვის მუხლით, ან საკართველოს **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკს** უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი **ხელშეკრულება** ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში **ბანკი კლიენტს** გაუზიარებს შესაბამის შეტყობინებას, **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე.

17.6. თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შეექმნება საფრთხე, **ბანკი** შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს **კლიენტს** მომსახურების გაწევაზე და გააუქმებს **ხელშეკრულებას**, **PAY ბარათს**, დახურავს **კლიენტის PAY ანგარიშს**, გააუქმებს ამ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მომსახურებას (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს **დისტანციურ საბანკო მომსახურებას**) და მოითხოვს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას.

17.7. **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს **ხელშეკრულება ბანკისთვის** 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, **ბანკის** თანხმობის შემთხვევაში **ხელშეკრულება** შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნულ ვადაზე ადრეც.

17.8. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ **ხელშეკრულება** არ შეწყდება მანამ, სანამ **კლიენტი** არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად ოპერაციებსაც (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მუდმივ საგადასახადო დავალებას, ავტომატურ კომუნალურ გადახდებს, განმეორებად ოპერაციებს და განგრძობად ავტორიზაციას, რომელიც **კლიენტს** გასცა საკონტაქტოს ან მომსახურების მოწოდებებზე და რაც გაულისმობს მისი უნივერსალური ანგარიშიდან თანხის რეგულარულად ჩამოწვას), რომლებიც **კლიენტის დავალების** საფუძველზე ხორციელდება მისივე ანგარიშ(ებ)იდან.

17.9. თუ რომელიმე მხარე გადაწყვეტს **ხელშეკრულების** შეწყვეტას, მაშინ: ყველა **ბარათი**, რომელიც **ბანკმა** გასცა **კლიენტზე** ან **დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე**, უნდა დაუბრუნდეს **ბანკს**; ყველა **წვდომის კოდ(ებ)ი** გაუქმდეს;

კლიენტმა ბანკს უნდა გადაუხადოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა.

17.10. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფების გადახდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გაწეული საგადახდო მომსახურების პერიოდის პროპორციულად, ამასთან თუ ტარიფებით განსაზღვრული რომელიმე რეგულარული/პერიოდული საკომისიო გადახდილია წინასწარ, **ბანკი** უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი თანხის **კლიენტისთვის** დაბრუნებას.

17.11. თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტა **კლიენტის** მიერ განხორციელდება **ხელშეკრულების** ძალაში შესვლიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლამდე, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **ხელშეკრულების** შეწყვეტისთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება იმ მოცულობით, რა მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს **ხელშეკრულების** შეწყვეტიდან გამომდინარე **ბანკის** მიერ გასაწევ რეალურ ხარჯს.

17.12. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ **კლიენტის** ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება წინამდებარე **პირობების** მე-18 მუხლით განსაზღვრული კომუნიკაციის რომელიმე ფორმით.

18. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

18.1. წინამდებარე **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება **ხელშეკრულების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მილაპარაკების საფუძველზე.

18.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

19. კომუნიკაცია

19.1. **ბანკის** მიერ **კლიენტთან** კომუნიკაცია ხორციელდება, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით, ხოლო **კლიენტის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია მხოლოდ წერილობითი ფორმით.

19.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, **განაცხადებში** მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიქსური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

19.2.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილას, **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

19.2.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისათვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტს** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

19.2.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონული ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

19.2.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ფიქსური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს, ხოლო **ბანკის** ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას, ინფორმაციის განთავსების დღეს.

19.3. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის **ხელშეკრულებაში** არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **კლიენტს** მისამართზე არ ყოფნის მიზეზით ზედითხედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

19.4. თუ **ხელშეკრულებაში** არ არის მითითებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედითხედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება ან ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა

დარღვევად და წინამდებარე ხელშეკრულება განიხილება როგორც კლიენტის თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოვულობით დამუშავების თაობაზე.

19.5. მხარეთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტთან კომუნიკაცია განახორციელოს კლიენტისთვის მისაღებ სხვა ენაზეც.

19.6. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს კლიენტთან კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, კლიენტისთვის განკუთვნილი მეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია კლიენტის ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, წვდომის კოდების კლიენტისთვის მიწოდება, გადახდის გრაფიკის შეხსენება და სხვა), (ბ) სახელმეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შინაარსს.

19.7. **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტთან კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში კლიენტის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ კლიენტის შესახებ დაფიქსირებული, ან თავად კლიენტის მიერ მესამე პირების შესახებ დაფიქსირებული, ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელმეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული კლიენტის ან/და მესამე პირ(ებ)ის საკონტაქტო მონაცემები (მოუხედავად იმისა მოქმედა თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ამავე ან/და **ბანკის** სხვა კლიენტის ბანკთან არსებული სხვა სახელმეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.

19.8. კლიენტის თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოიწვევოს იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ კლიენტს არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, კლიენტმა აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

20. კონფიდენციალური ინფორმაცია

20.1. მონაცემების დამუშავება. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელმეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკი** უფლებამოსილია, წინამდებარე პირობების 34.10. პუნქტში მოცემული მიზნებით, განახორციელოს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემების, დამუშავება.

20.2. ბანკის მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის მონაცემების კლიენტისაგან, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო(ებ)დან ან/და წინამდებარე პირობებში მითითებულ მესამე პირ(ებ)ისაგან მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღებულებას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზების, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გაქვადგენას (მათ შორის ინფორმაციის წინამდებარე პირობებში მითითებული მიზნებით მესამე პირებისთვის გაქვადგენას) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წესას ან განადგურებას.

20.3. ბანკის ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** შეკვეთით უფლებამოსილი პირების) მიერ ხორციელდება კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება წინამდებარე პირობების განსაზღვრული მიზნებისათვის, რაც შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავებით:

- (ა) კლიენტის სახელი და გვარი;
- (ბ) დაბადების ადგილი და თარიღი;
- (გ) პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები, ფოტოსურათი/ვიზუალური გამოსახულება;
- (დ) მოქალაქეობა;
- (ე) სქესი;
- (ვ) რეგისტრირებული ან/და ფაქტური საცხოვრებელი მისამართი;
- (ზ) ტელეფონის/მობილურის ნომერი;
- (თ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- (ი) ინფორმაცია შემოსავლების შესახებ და საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);
- (კ) კლიენტის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;
- (ლ) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);
- (მ) **ბანკში** და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ან ანგარიშებზე

კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;

(ნ) **ბანკის** ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათო ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი წვდომის კოდეზი;

(ო) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული კლიენტის ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა);

(პ) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამქვადგენული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და კლიენტის ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);

(ჟ) ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;

(რ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახელდადებად ფიზიკური და იურიდიული პირების ან/და შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახელდადება ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხვები სურავების) შესახებ მონაცემები კლიენტის თაობაზე;

(ს) საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია; (ტ) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება კლიენტს და რის შედეგადაც შესაძლებელია კლიენტის იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და სხვა კლიენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვე-პუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.

20.4. თუ კლიენტი, მომსახურების მიღების მიზნით, **ბანკს** აწვდის მესამე პირების (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო **ბანკი** ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, დამუშავებას საბანკო მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, კლიენტს თავად არის ვალდებული მოპოვებულ ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების **ბანკის** მიერ დამუშავებაზე. კლიენტის მიერ ამავე ინფორმაციის **ბანკისთვის** (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს კლიენტის მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს **ბანკის** მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს **ბანკს** კლიენტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. კლიენტი თანახმაა აუნაზღაუროს და დივიდეს **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

20.5. ბანკის მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები, **LB PAY აპარატები**, **ბანკომატები** ან/და მონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) კლიენტის შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს კლიენტის აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას კლიენტის ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, მიგების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და კლიენტის მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. კლიენტის ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

20.6. ბანკი უფლებამოსილია საბანკო მომსახურების გაწევისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**) ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის საშუალებით, კლიენტის პირადი ნომრით ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა მეთოდით იდენტიფიკაციის შემთხვევაში, კლიენტისათვის ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული ინფორმაცია მის (**კლიენტის**) საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიურ) დავალიანებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მილიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათების მონაცემების არასრული ინფორმაციის ჩვენებით;

20.7. ბანკი პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**)/**ბანკომატ(ებ)ის** ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის მეშვეობით, კლიენტის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის (პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი) სწრაფი გადახდის

ტერმინალში (LB Pay აპარატი)/ბანკომატში შეყვანით, კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

20.7.1. მონაცემთა დამუშავების საფუძველი. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბანკის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელმწიფო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, ბანკის მიერ კლიენტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება ხორციელდება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი საფუძველით:

20.7.2. კლიენტის თანხმობით მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;

20.7.3. კლიენტის განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

20.7.4. ბანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;

20.7.5. ბანკის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

20.7.6. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;

20.7.7. კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

20.8. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს კლიენტის თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება აქტიური მოქმედებით ნებისმიერი ელექტრონული ან/და არალექტრონული ფორმით გამოხატული ნება/გაკეთებული განცხადება, რომლითაც კლიენტი ეთანხმება შესაბამის პირობებს და რომელიც ამ განცხადებთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

20.9. მონაცემების დამუშავების მიზანი. ბანკის ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ის მიერ კლიენტის ან მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

20.9.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

20.9.2. პროდუქტების და სერვისების მისაწოდებლად, მათ შორის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის/შეთავაზებების უზრუნველსაყოფად;

20.9.3. კლიენტის სათანადო წესით იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისთვის და მონაცემთა პერიოდული განახლების უზრუნველსაყოფად;

20.9.4. კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმებისთვის, მათ შორის საკრედიტო რისკების შეფასების მიზნით;

20.9.5. კლიენტთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისთვის, მათ შორის, მის განცხადებებზე, მიმართვებსა თუ პრეტენზიებზე სათანადო და დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად.

20.9.6. კლიენტის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარეიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის ან/და საკრედიტო სარეიტინგო ქულის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელობის რისკებისა და სხვა შესუსტებული/ვადგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასა და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ.

20.9.7. კლიენტის მიერ eMoney ელექტრონული საფულეოს სარგებლობისთვის (ასეთის არსებობისას), რომელიც წარმოადგენს ბანკის და eMoney-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და eMoney-ს კლიენტს, მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა საშუალება იქონიოს eMoney ელექტრონული საფულეო კონკრეტული მომენტისთვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეო ან/და განხორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი eMoney საფულეს ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისთვის ისეთ ვებ გვერდებზე, სადაც eMoney-თ ავტორიზაცია დაშვებულია.

20.9.8. ბანკის ან/და მესამე პირის კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით, შესაბამისი სახელმწიფოებრივი პირობებით განსაზღვრულ ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის, მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, ასევე მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

20.9.9. ბანკის კანონიერი ინტერესის დაცვისა და სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მათ შორის კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დროულად ან/და ჯეროვნად შესრულებლობის შემთხვევაში;

20.9.10. ბანკის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც ბანკი ახორციელებს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

20.9.11. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრევენტივების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

20.9.12. თაღლითობის ან/და შესაძლო თაღლითობის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულის პრევენციისთვის, გამოვლენისთვის, მოკვლევისთვის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხელშეწყობად;

20.9.13. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის კლიენტის საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წამოადგენს;

20.9.14. ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის კლიენტის საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წამოადგენს;

20.9.15. მარკეტინგული აქტივობების წარმართვის მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც ბანკის, ასევე წინამდებარე პირობებში მითითებული მესამე პირების მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას;

20.9.16. სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად;

20.10. ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა/მესამე პირ(ებ)ისგან ინფორმაციის გამოთხოვა.

20.10.1. ბანკი მკაცრად იცავს კლიენტის და მის მიერ დასახელებული მესამე პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, ამასთან, კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი, უფლებამოსილია მონაცემთა დამუშავების ფარგლებში წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ისთვის (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად) განხორციელოს მონაცემთა გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისგან კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების გამოთხოვა იმ მოცულობით რაც აუცილებელია წინამდებარე პირობებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის.

20.10.2. ბანკი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

20.10.3. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი, კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, უფლებამოსილია სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინგო საქართველოს (ს/ნ 204470740) მეშვეობით მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშავოს კლიენტის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახელდადებად ფიზიკური და იურიდიული პირების ან/და შესუსტებული ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახელდადება ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ თანხმობას, მათ შორის ბანკის მიმართ აქტიური საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულებების მოქმედების პერიოდში;

20.10.4. კლიენტი აცხადებს თანხმობას, ბანკს სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან ერთჯერადად გამოითხოვოს და დაამუშავოს სსიპ - შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში კლიენტის შესახებ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის, მათ შორის, კლიენტისთვის შემდგომში საბანკო პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზების მიზნით; ამასთან, კლიენტი თანხმობას აცხადებს ბანკს მიმართოს სსიპ - შემოსავლების სამსახურის შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში კლიენტის რეგისტრაციის მოთხოვნით და სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ კლიენტის იდენტიფიკაცია და კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმატზე გადაყვანის მიზნით, დაამუშავოს და მიაწოდოს კლიენტის პერსონალური მონაცემები;

20.10.5. გარდა ზემოაღნიშნულისა, კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებას, კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე პირობებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ორგანიზაციებისგან მოიპოვოს ან/და მათ გადასცეს კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა):

(ა) ბანკის პარტნიორი კომპანიები, რომელთა ერთადეც ბანკი კომერციული კუთხით თანამშრომლობს და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(ბ) ბანკის კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ ბანკის საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდლების მისაღებად (ე.წ. ბილინგი);

(გ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი და სხვა ის მესამე პირები, რომლებიც ბანკის მიერ კლიენტისთვის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის აპარატი, ბანკომატი და ა.შ.) საბანკო/საგადახდო მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებენ პირთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციას და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(დ) საჯარო დაწესებულებები, როგორცაა სახელმწიფო დაწესებულებები, დამოუკიდებელი, სასამართლო, საგანმრებლო და სხვა დაწესებულებები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილი იურიდიული პირები;

(ე) სხვა ორგანიზაციები, რომელთათვისაც მონაცემთა გაზიარება ემსახურება ანგარიშგებასთან, კანონის ან/და შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, აუდიტის/მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული **ბანკის** მოვალეობების შესრულებას;

(ვ) საკრედიტო საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ახორციელებენ საკრედიტო ინფორმაციის შეგროვებას და ინტეგრირებისათვის, ასევე საკრედიტო მონაცემთა შემოწმებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გაზიარებას;

(ზ) პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან/და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც პაზორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შექმნას (ცესა);

(თ) საერთაშორისო და ადგილობრივი საგადახდო მომსახურების ოპერატორები;

(ი) პროფესიონალი კონსულტანტები, როგორცაა ფინანსური და იურიდიული მრჩეველები, აუდიტორული კომპანიები, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(კ) სადაზღვევო და საფოსტო კომპანიები, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(ლ) დაკავშირებული მესამე პირები - **ბანკმა** შესაძლოა გააზიაროს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები **ბანკის** შიგნით, შვილობილ კომპანიებთან, აფილირებულ პირებთან და სხვა პარტნიორებთან იმ მოცულობით, რაც შეესაბამება დაკისრებული ამოცანის ტიპსა და ფარგლებს;

(მ) მესამე პირები, რომლებსაც შესაძლებელია **ბანკმა** მიიღოს, გადასცეს ან გააერთიანოს ბიზნესის ან აქტივების ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** ბიზნესს საქმიანობა შეიცვლება, ახალმა მფლობელებმა შესაძლოა გამოიყენონ **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები იმავე სახით, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე პირობებში.

20.10.6. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** განხორციელებს მონაცემების **მესამე პირებისთვის** გადაცემას, მათ შორის ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისთვის გადაცემას, აღნიშნული ქმედების შესრულებისას მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ის გონივრული ზომა, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.

20.10.7. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე პირობებში მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო **მესამე პირების** კატეგორიები შესაძლოა შეიცვალოს, თუმცა მიუხედავად ამისა, მონაცემების დამუშავების კუთხით **ბანკის** ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

20.11. **პირდაპირი მარკეტინგი.** **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, დაამუშაოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები და **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე/ნომრებზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართ(ებ)ზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელებდეს კომუნიკაციას, მათ შორის მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის გზით (პირდაპირი მარკეტინგი).

20.12. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შთავაზებების განხორციელების მიზნით, **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმყვანოს **ბანკის** ხელთ არსებული **კლიენტის** პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია **ბანკის** დაკავშირებულ/უფლებამოსილ პირ(ებ)ს, რომელიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვას **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და უსაფრთხოება. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს **ბანკს** ან/და დაკავშირებულ თუ უფლებამოსლ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

20.13. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის **ბანკომატი**, **ინტერნეტ ბანკი**, მობილ **ბანკი** და სხვა).

20.14. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ პირდაპირი მარკეტინგის ფარგლებში შეთავაზებების განხორციელების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის კომუნიკაციები. **კლიენტთან** დაკავშირება მის შესახებ **ბანკში** დაკავშირებული მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებით (მათ შორის, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების თაობაზე **კლიენტის** ინფორმირების მიზნით), ასევე **კლიენტის**

განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად და სხვადასხვა ინფორმაციის მისაწოდებლად.

20.15. **ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა.** უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება **ბანკომატის** ან სხვა ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს ბანკთან სატელეფონო კომუნიკაციისას ან/და დისტანციური მომსახურების გაწევის მიზნებისთვის.

20.16. **ბანკის** მომსახურების წერტილებში, აგრეთვე ბანკთან კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ **კლიენტი** ინფორმირებული იქნება შესაბამის ფორმით. **კლიენტი**, ანგარიშებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების **დამუშავებაზე**.

20.17. **სააგენტო უფლებები.** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის** პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მითხოვებს მათზე სააგენტო ქონებრივ უფლებებს.

20.18. **მონაცემების განახლება, დამუშავების და შენახვის ვადა.** თითოეული **მხარე** ვალდებულია, როგორც **ხელშეკრულების** მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამყვანოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.

20.19. **ხელშეკრულების** მოქმედების განმთავსებაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით **დამუშავება** (მათ შორის მონაცემების სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი სხვა **მესამე პირებისთვის**, გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

20.20. იმ მონაცემების **დამუშავება**, რომელიც **კლიენტის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, **ინტერნეტ ბანკი**, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

20.21. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი კანონმდებლობით** გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტს** მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების სავსაფარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსაყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია **კანონმდებლობით**.

20.22. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ. თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ **ბანკში** დაკავშირებული პერსონალური მონაცემების წაშლა.

21. დასკვნითი დებულებები

21.1. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს **ბანკის** მიერვე მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

21.2. **ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/მალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

21.3. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებლ **მესამე პირებისაგან** მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

21.4. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს **მესამე პირებს** დაუთმოს/გადასცეს **პირობებით** განსაზღვრული უფლებები ან/და მოვალეობები. ამასთან, თუ **ბანკი** ისარგებლებს ან დააპირებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობას, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი შეხედულების გარეშე გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის საბანკო ანგარიშის** შესახებ **კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებს**.

21.5. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლებებზე.

21.6. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

21.7. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, **ბანკის** მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

21.8. **ხელშეკრულებაში** არსებული მუხლ(ებ)/პუნქტ(ებ)/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია **ხელშეკრულების** შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას **ხელშეკრულების** ინტერპრეტაციაზე.

21.9. წინამდებარე **პირობებს** ენიჭება უპირატესი ძალა **მხარეთა** შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

21.10. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **პირობებიც** განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: <http://libertybank.ge>. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **პირობებთან** მიმართებაში.

2018 წლის 1 იანვრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის თანახმად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.

რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ? – ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 15,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 15,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

როგორ ვისარგებლო დეპოზიტების დაზღვევით? – კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე;

კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები – სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები;

ანაზღაურების ვალუტა - ლარი.

სს „ლიბერთი ბანკი“ წარმოადგენს ლიზენცირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2010 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული #0110247 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „ლიბერთი ბანკის“ სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #74-ში 0162. დეტალური ინფორმაცია სს „ლიბერთი ბანკის“ მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე <http://libertybank.ge>;

სს „ლიბერთი ბანკის“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე - <http://nbg.gov.ge>;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

დანართი №1 – PAY ბარათის მომსახურების პირობები და ტარიფები

Sმარტივი PAY/UIP ბარათი	სტანდარტული Sმარტივი ბარათი
Sმარტივი ბარათით სარგებლობა	
ბარათის ტიპი	ლოკალური/საერთაშორისო საბანკო ბარათი
ბარათის მოქმედების ვადა	10 წელი
ანგარიშის ვალუტა	ლარი, აშშ დოლარი, ევრო
ბარათის გაცემა	უფასო
ბარათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	უფასო
PAY ანგარიშიდან PAY/სმარტივი ბარათით ნაღდი თანხის გატანა	
თანხის გატანა ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში/ფილიალებში	<ul style="list-style-type: none"> 3.00%, მინიმუმ 0.50 ლარი ლიბერთი ექსპრესი პლუსის კრედიტის თანხის განაღდებას - განაღდებული თანხის 3.00% <p>შენიშვნა: თუ კლიენტის მიერ ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრში / ფილიალებში განაღდებული თანხა მოიცავს ლიბერთი ექსპრეს პლუსის კრედიტის თანხის (სრული ან ნაწილობრივი) გარდა სხვა თანხას - ბანკი უფლებამოსილია დაარიცხოს აღნიშნულ (არა კრედიტის) თანხას წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ნაღდი თანხის ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში / ფილიალებში გატანის საკომისიო განაღდებული თანხის ყოველ შესაბამის ნაწილზე (ლიბერთი ექსპრესის კრედიტის თანხა / სხვა თანხა) ცალ-ცალკე. ამასთან, ამონაწერში ჩამოჭრილი ნაღდი თანხის გატანის საკომისიო ნაჩვენებია იქნება გამაური ოდენობით.</p>
თანხის გატანა პარტნიორი (მათ შორის H2H სისტემაში ჩართული) ბანკის სერვის ცენტრებში	3.00%, მინიმუმ 0.50 ლარი
თანხის გატანა სხვა ბანკის სერვის ცენტრებში	3.00%, მინიმუმ 2.00 აშშ დოლარი
თანხის გატანა ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	<ul style="list-style-type: none"> 2.00%, მინიმუმ 0.50 ლარი ლიბერთი ექსპრესი პლუსის კრედიტის თანხის განაღდებას - განაღდებული თანხის 3.00% <p>შენიშვნა: თუ კლიენტის მიერ ლიბერთი ბანკის ბანკომატიდან განაღდებული თანხა მოიცავს ლიბერთი ექსპრესი პლუსის კრედიტის თანხის (სრული ან ნაწილობრივი) გარდა სხვა თანხას - ბანკი უფლებამოსილია დაარიცხოს აღნიშნულ (არა კრედიტის) თანხას წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ბანკომატიდან თანხის განაღდებას საკომისიო</p>
თანხის გატანა პარტნიორი (მათ შორის H2H სისტემაში ჩართული) ბანკის ბანკომატებით	2.00%, მინიმუმ 0.50 ლარი
თანხის გატანა სხვა ბანკის ბანკომატებით	2.00%, მინიმუმ 2.00 აშშ დოლარი
გადარიცხვის/გადახდის საკომისიოები	
ანგარიშსწორება სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში	უფასო
თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში სხვა ბანკის ანგარიშზე	0.07%, მინიმუმ 1.00 ლარი
თანხის გადარიცხვა აშშ დოლარში სხვა ბანკის ანგარიშზე	0.50%, მინიმუმ 20.00, მაქსიმუმ 500 აშშ დოლარი
თანხის გადარიცხვა ევროში სხვა ბანკის ანგარიშზე	0.50%, მინიმუმ 20.00, მაქსიმუმ 500 ევრო
თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ანგარიშებზე MasterCard MoneySend ან VISA Direct საბარათე გადარიცხვების მეშვეობით	1.50%, მინ. 0.50 ერთეული ვალუტის შესაბამისად
გადახდები ინტერნეტ ბანკის/მობილ ბანკის მეშვეობით*	<p>ინტერნეტ ბანკის/მობილ ბანკის მეშვეობით, თითოეული პროვაიდერის ჭრილში გადახდის ოპერაციისათვის დადგენილი საკომისიოები განისაზღვრება შემდეგი ბმულზე განთავსებული ტარიფების შესაბამისად: https://libertybank.ge/cdn/92/99/MKnmq_35Q0mrNxMJ4TRshw/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98%201.pdf</p>
<ul style="list-style-type: none"> ძალაში შედის 2021 წლის 12 თებერვლიდან 	
ანგარიშზე ჩარიცხული თანხის მიღება	
PAY „ნიკი“ თანხის მიღება	ჩარიცხული თანხის 1.00%
ბალანსის შემოწმება	
ლიბერთი ბანკის და პარტნიორი ბანკის ბანკომატებში	უფასო
H2H სისტემაში ჩართული ბანკების ბანკომატებში	0.50 ლარი
სხვა ბანკის ბანკომატებით	0.35 აშშ დოლარი
Smartpay – ტარიფები მაგთიკომის, ბილანის და ჯეოსელის აბონენტებისთვის	
ანგარიშის ბალანსის შემოწმება	0.04 ლარი*

ლიბერთი ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს: შეცვალოს აღნიშნული დოკუმენტის დანართ(ებ)ში განსაზღვრული პირობები ან/და ტარიფები;

ერთჯერადი გადახდის განხორციელება (აზარტული თამაშები, კომუნალურები ან სხვა)	0.50 ლარი
თანხის გატანის და ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი	
ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	შეუზღუდავი
ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	1,500 ლარი
ლიბერთი ბანკის ბანკომატებით Mifare ან სხვა უკონტაქტო პროტოკოლის გამოყენებით	1,500 ლარი
სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში	10,000 ლარი
უმოძრაო ანგარიშის მომსახურება*	
უმოძრაო ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო ²	3.00 ლარი
სხვა მომსახურებები	
ავტომატური გადარიცხვები/ Standing Order	1.00 ლარი ყოველ დავალებაზე
ავტომატური გადახდები/ Direct Debit	0,5 ლარი ყოველ დავალებაზე
თანხის განაღდება ლიბერთი ბანკის ბანკომატებიდან Mifare ან სხვა უკონტაქტო პროტოკოლის გამოყენებით	1.00%
მესამე პირის არხის გავლით თანხის განაღდება ლიბერთი ბანკის ბანკომატებიდან Mifare ან სხვა უკონტაქტო პროტოკოლის გამოყენებით	2.00%
ვალუტის პრიორიტეტულობის შეცვლა	10.00 ლარი
ნაშთის/ოვერდრაფტის პრიორიტეტულობის შეცვლა	10.00 ლარი
ბარათის ლოკალურ სტოპ სიაში ჩასმა	უფასო
დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა	უფასო
ვადაგასული ბარათის აღდგენა	უფასო
ბარათის PIN-ის აღდგენა	უფასო
PAY ანგარიშზე თანხის არასანქცირებული გადახარჯვის ჯარიმა	გადახარჯული თანხის წლიური 48.00% დაანგარიშებული გადახარჯვის ყოველ კალენდარულ დღეზე

¹ უმოძრაო ანგარიშის მომსახურების საკომისიოს დარიცხვის უფლება ძალაშია წინამდებარე პირობების ამოქმედების თარიღიდან, ხოლო საკომისიოს ანგარიშიდან ჩამოწერა განხორციელდება 2019 წლის 28 თებერვლიდან.

² უმოძრაო ანგარიშს არ დაერიცხება საკომისიო, თუ კლიენტს ბანკში გააჩნია (ა) ერთი ანგარიში მაინც, რომელიც უკანასკნელი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში გამოყენებულია კლიენტის მიერ, (ბ) დეპოზიტი, (გ) საკრედიტო პროდუქტი. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია უმოძრაო ანგარიშის მომსახურების საკომისიოს ჩამოწერა კლიენტის სოციალური ანგარიშიდან (ასეთის არსებობისას).

³ 2019 წლის 27 მაისიდან გაუქმებულად ჩაითვლება და ბანკის მიერ დაიბლოკება ფორტუნა ბარათი, პრემიალური Sმარტივი ბარათი, eLoan Card ბარათი, პარტნიორი ორგანიზაციებისათვის ბრენდირებულ შემდეგი PAY ბარათები: აგრო ბარათი - პარტნიორი ორგანიზაცია ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (ს/ნ 404923785), EuroCard - პარტნიორი ორგანიზაცია შპს „ჩემპიონები 111“ (ს/ნ 240420647), Crystalbet Card – პარტნიორი ორგანიზაცია - შპს „კრისტალბეტი“ (ს/ნ 404899160), Fresco Card - პარტნიორი ორგანიზაცია შპს „ფრესკო თრეიდ ჰაუსი“ (ს/ნ 404410188) და შპს „ფრესკო რითეილ გრუპი“ (ს/ნ 404383779), CityPass ბარათი-დუშეთი, CityPass ბარათი-ბათუმი, ხოლო აღნიშნული ბარათების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიმართონ ბანკს სანაცვლოდ სტანდარტული Sმარტივი ბარათის მიღების მოთხოვნით. თავის მხრივ ბანკი უფლებამოსილია კლიენტების სეგმენტის ან/და ბარათის ტიპის გათვალისწინებით არ განახორციელოს კონკრეტული ბარათების გაუქმება/დაბლოკვა და აღნიშნული ბარათები იმოქმედებს იმავე პირობებით, რომელიც ვრცელდება მათზე 2020 წლის 02 დეკემბრამდე. გაუქმებული ბარათები (მათ შორის ვადაგასული ბარათები) არ ექვემდებარება აღდგენას.

4. 2020 წლის 02 დეკემბრიდან გაუქმებულად ჩაითვლება და ბანკის მიერ დაიბლოკება წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ყველა სახის ბარათი, გარდა CityPass ბარათი-რუსთავისა. თავის მხრივ ბანკი უფლებამოსილია კლიენტების სეგმენტის ან/და ბარათის ტიპის გათვალისწინებით არ განახორციელოს კონკრეტული ბარათების გაუქმება/დაბლოკვა და აღნიშნული ბარათები იმოქმედებს იმავე პირობებით, რომელიც ვრცელდება მათზე 2020 წლის 02 დეკემბრამდე. გაუქმებული ბარათები (მათ შორის ვადაგასული ბარათები) არ ექვემდებარება აღდგენას.

5. 2021 წლის 28 იანვრიდან იზღუდება CityPass ბარათი რუსთავის მექანიზმით ყველა სახის სავადახლო ოპერაცია, გარდა აღნიშნული მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის სავსურის გადახდისა.

ლიბერთი ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს: შეცვალოს აღნიშნული დოკუმენტის დანართ(ებ)ში განსაზღვრული პირობები ან/და ტარიფები;

City Pass PAY ბარათი - რუსთავი¹	
ბარათით სარგებლობა	
ბარათის ტიპი	ლოკალური საბანკო ბარათი
ბარათის მოქმედების ვადა	10 წელი
ანგარიშის ვალუტა	ლარი, აშშ დოლარი, ევრო
ბარათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	უფასო
დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა	1.00 ლარი
ბალანსის ავტომატური შევსების მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	0.50 ლარი
ბალანსის შემოწმება	
ლიბერთი ბანკის ბანკომატებში	უფასო

¹ ყველა სხვა ოპერაცია/ტრანზაქცია რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დანართით (City Pass PAY ბარათი - რუსთავი) City Pass PAY ბარათზე არ დაიშვება, თუ ბანკის მიერ შემდგომში სხვა პირობა არ იქნება განსაზღვრული. ამასთან, 2021 წლის 28 იანვრამდე აღნიშნული ბარათები იმოქმედებს PAY ანგარიშის და ბარათის მომსახურების პირობების 2020 წლის 02 ნოემბრის რედაქციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

Hail Emergency Farmer Card	
ბარათით სარგებლობა	
ბარათის ტიპი	ლოკალური საბანკო ბარათი
სუბსიდირების პროექტის მოქმედების ვადა	2019 წლის 01 ნოემბრამდე
ანგარიშის ვალუტა	ლარი
ბარათის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	უფასო
თანხის გატანა ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	შეზღუდული
თანხის გატანა პარტნიორი და H2H სისტემაში ჩართული ბანკების სერვის ცენტრებში	შეზღუდული
თანხის გატანა ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	შეზღუდული
თანხის გატანა პარტნიორი და H2H სისტემაში ჩართული ბანკების ბანკომატებში	შეზღუდული
ანგარიშსწორება სუბსიდირების პროექტის ფარგლებში განსაზღვრულ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში	უფასო
ნებისმიერი ვალუტის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის ანგარიშზე	შეზღუდული
თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში სხვა ბანკის ანგარიშზე	შეზღუდული
თანხის გადარიცხვა აშშ დოლარში სხვა ბანკის ანგარიშზე	შეზღუდული
თანხის გადარიცხვა ევროში სხვა ბანკის ანგარიშზე	შეზღუდული
დაკარგული ან დაზიანებული ბარათის აღდგენა	უფასო
ბალანსის ავტომატური შევსება და მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	შეზღუდული
თანხის გატანის და ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი	
ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში	შეზღუდული
ლიბერთი ბანკის ბანკომატებით	შეზღუდული
ლიბერთი ბანკის ბანკომატებით Mifare ან სხვა უკონტაქტო პროტოკოლის გამოყენებით	შეზღუდული
სუბსიდირების პროექტის ფარგლებში განსაზღვრულ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში	2 300 ლარი

დანართი №2 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები

- ქვემოთმოცემულ ცხრილში ასახულია დროის მონაკვეთები, როდესაც შესაძლებელია **ბანკში** საგადახდო **დავალების** მიღება, როგორც უშუალოდ **დავალების ბანკში** წარდგენით, ასევე **დისტანციური საბანკო მომსახურების** არხების მეშვეობით, აგრეთვე წარდგენილი საგადახდო **დავალების ბანკის** მიერ შესრულებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური დრო.
- წინამდებარე დანართის მიზნებისთვის, სამუშაო დღე ითვლება კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა.
- არასამუშაო დღეებში ან/და წინამდებარე ცხრილით განსაზღვრული საათებისგან განსხვავებულ დროის შუალედში **ბანკისთვის** წარდგენილი დავალება, **ბანკის** მიერ მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.

საგადახდო დავალების ბანკისათვის მიწოდების ფორმა	საოპერაციო საათები, როდესაც ბანკის მომსახურების წერტილები ან/და დისტანციური არხები ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია კლიენტისთვის	დროის შუალედი, როდესაც ბანკისთვის წარდგენილი საგადახდო ჩაითვლება ბანკის მიერ მიღებულად	ბანკის მიერ დავალების მიღებიდან მის შესრულებამდე საჭირო მაქსიმალური დრო საქართველოს ტერიტორიაზე
<p>ბანკის მომსახურების წერტილებში (მათ შორის და არამარტო ფილიალი, სერვის-ცენტრი, წარმომადგენლობა) კლიენტის მიერ დავალების უშუალოდ წარდგენა (გარდა იმ მომსახურების წერტილებისა, სადაც ბანკის მიერ დაწესებულია 24 საათიანი სამუშაო გრაფიკი ან მომსახურების წერტილი მდებარეობს სპეციალურ ობიექტში (საბაჟო პუნქტი, აეროპორტი, იუსტიციის სახლი და სხვა)):</p>	<ul style="list-style-type: none"> • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; • შაბათ დღეს - 10.00 სთ-დან 14.30 სთ-მდე; <p>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც კლიენტი ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე; <p>მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს დავალების მიღებისთვის განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც კლიენტი ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით.</p>	<ul style="list-style-type: none"> • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, დავალება სრულდება დავალების მიღების დღეს. • თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, დავალება სრულდება დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა; • თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, ბანკი ვალდებულია გადასცეს ადნინშულ სისტემებს დავალება შესასრულებლად დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა.
<p>ბანკის 24 საათიან სერვის ცენტრ(ებ)ში კლიენტის მიერ დავალების უშუალოდ წარდგენა:</p>	<p>ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში</p>	<p>ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;</p>	<ul style="list-style-type: none"> • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, დავალება სრულდება დავალების მიღების დღეს. • თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, დავალება სრულდება დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა; • თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, ბანკი ვალდებულია გადასცეს ადნინშულ სისტემებს დავალება შესასრულებლად დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა.
<p>დისტანციური საბანკო მომსახურების არხების (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი, LB PAY აპარატი, USSD მენიუ, ბანკომატით განხორციელებული დავალებები, მათ შორის VISA Direct ან MasterCard MoneySend და სხვა) მეშვეობით წარდგენილი დავალება:</p>	<p>ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში</p>	<p>ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.30 სთ-მდე;</p>	<ul style="list-style-type: none"> • თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, დავალება სრულდება დავალების მიღების დღეს. • თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, დავალება სრულდება დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა; • თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, ბანკი ვალდებულია გადასცეს ადნინშულ სისტემებს დავალება შესასრულებლად დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო საბანკო დღისა.